

TRANSLATION AS CHANGE

თარგმანი, როგორც ცვლილება

Manana Matiashvili

Ph.D in Philology,

Caucasus University,

Paata Saakadze str. #1, 0132, Tbilisi, Georgia

+995 551 95 61 95. mmatiashvili@cu.edu.ge<https://orcid.org/0009-0002-5360-4687>

Abstract. The aim of this paper is to explore the concept of equivalence in translation, reevaluate the expectations of the readers about the adequacy of the literary translation and underline change and transformation as basic ingredients for creating proper and adequate literary translation.

It begins with a discussion of the complex approach to translation as a whole that implies considering all the aspects of the ST and TT including their textual (covering non-casual language, equivalences, rhetorical features,) and contextual (connotations, implicatures, culture-bound associations) features.

The paper then discusses different methods and procedures of translation. These are additions and losses, logically implicit insertions (LII) and extractions, even implicit, unspoken information that sometimes turns into explicit and spoken one in the process of rendering. The importance of connotative meanings and multiple layers of the text are also mentioned as they are crucial for the proper understanding of the ST without which the equivalence of translation could be difficult to achieve.

It's concluded that the equivalent translation is one that contains all the changes and transformations that were logical and contextual from the translator's point of view. It is also mentioned that readers must not claim absolute similarity from the translation as adequacy implies difference within itself from the very beginning and that changeability should be considered as one of the inevitable features of the translated literary texts.

Keywords: Transformation, Equivalence, Implicit Information, Logically Implicit Insertions (LII), Gain and Loss.

მანანა მათიაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი,
კავკასიის უნივერსიტეტი,
თბილისი, პაატა სააკაძის #1, 0132, საქართველო,
+995 551 95 61 95. mmatiasvili@cu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0002-5360-4687>

აბსტრაქტი. წერილის მიზანია თარგმანის ეკვივალენტურობის ცნების დაზუსტება მასში ცვლილებისა და ტრანსფორმაციის მნიშვნელობის ხაზგასმით; ასევე, თარგმანის მკითხველის მოლოდინების გადაფასება ლიტერატურული თარგმანის ადეკვატურობასთან დაკავშირებით.

წერილის დასაწყისში აღნიშნულია თარგმანის, როგორც ერთი მთლიანობის მიმართ კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა, რაც გულისხმობს წყარო-ტექსტისა და სამიზნე ტექსტის ყველა ასპექტის გათვალისწინებას მათი ტექსტუალური (ოკაზიური ლექსიკა, შესატყვისობები, რიტორიკული ფიგურები) თუ კონტექსტუალური (კონოტაციები, იმპლიკაციები, კულტურული რეალიები) მახასიათებლებით.

მომდევნო აბზაცებში განიხილება ეკვივალენტური თარგმანის შესაქმნელად საჭირო მთარგმნელისეული ხერხები, მეთოდები და პროცედურები, როგორებიცაა შემატება-კლების მეთოდი, ლოგიკით იმპლიცირებული ჩანართები (ლიჩ) და ამოკლებები, ნაგულისხმევი ინფორმაციის გავლენის მნიშვნელობა სამიზნე ტექსტზე, რომელიც ზოგჯერ თარგმანში ექსპლიციტური ხდება ან, პირიქით, ექსპლიციტური ინფორმაცია იმპლიციტურად იქცევა გადატანის პროცესში. ცალკე განიხილება ლექსიკური ერთეულების კონოტაციებისა და მხატვრული ტექსტის მრავალშრიანობის მნიშვნელობა დედნის ტექსტის სწორად აღქმისთვის, რის გარეშეც თარგმანის ეკვივალენტურობის მიღწევა რთული იქნებოდა.

დასკვნის სახით გამოთქმულია აზრი, რომ ეკვივალენტური თარგმანის საზღვრებში უნდა შედიოდეს ყველა ის ცვლილება და ტრანსფორმაცია, რასაც მთარგმნელი ახორციელებს ტექსტის ლოგიკისა და კონტექსტის მოთხოვნის ფარგლებში. დასაწყისში დასმული პრობლემის საპასუხოდ აღნიშნულია, რომ მცდარია მკითხველის მხრიდან დედნისა და თარგმანის სრული იდენტურობის მოთხოვნა, რადგან ეკვივალენტურობა თავის თავში მოიცავს თარგმანის პროცესში წარმოქმნილი განსხვავების არსებობას. ამდენად, ცვლილება და ცვალებადობა მხატვრული ტექსტის თარგმანის ერთ-ერთ გარდაუვალ მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

საკვანძო სიტყვები: ტრანსფორმაცია, ეკვივალენტურობა, ნაგულისხმევი ინფორმაცია, ლოგიკით იმპლიცირებული ჩანართები (ლიჩ), შემატება-კლება

შესავალი. თარგმანთმცოდნეობის, როგორც დისციპლინის, არსებობის განმავლობაში დაგროვილი კვალიფიციური ცოდნის მიუხედავად, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში, პრაქტიკული თვალსაზრისით, თარგმანის წინაშე არაადეკვატური მოთხოვნებია წაყენებული. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, თარგმანის ამბივალენტურობისა და ჭეშმარიტი ბუნების გაუნცნობიერებლობა და სამიზნე ტექსტის „ტკბილქართული“ სტილიზაციით მეტისმეტი გატაცებაა.

წარმოდგენილი წერილის მიზანია, ხაზი გავუსვათ **ცვლილების**, როგორც ტრანსფორმაციისა და თარგმანის აუცილებელი შემადგენლის, მნიშვნელობას ეკვივალენტურობის მისაღწევად, და გავაქარწყლოთ თარგმანის არსის შესახებ არსებული არასწორი წარმოდგენები სპეციალისტთა მიერ ჩატარებულ კვლევებსა და მათ დასკვნებზე დაყრდნობით.

მეთოდები. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ დედნისა და თარგმანის ანალიზის დროს საჭიროა *კომპლექსური მეთოდის* გამოყენება, რაც გულისხმობს, როგორც დედნის ავტორისა და მისი ტექსტის შესახებ არსებული ექსტრალინგვისტური ინფორმაციის გამოყენებას, ისე ტექსტის შემადგენელი ერთეულებისა და მათი კავშირების სიღრმისეულ სემურ ანალიზს (ამის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ 2005 წელს აღვნიშნავდით სადისერტაციო ნაშრომში „მოდერნისტული პოეზიის თარგმნის პრობლემა“).

კომპლექსური მეთოდით ანალიზი იწყება დედნისა და თარგმანის შედარების შედეგად გამოყოფილი **არადედნისეული შემატებისა და კლების** შესწავლით, რაც საფუძველი ხდება კვლევის შემდგომ ეტაპზე თარგმანის კვალიფიცირებისათვის ადეკვატურობა-არაადეკვატურობის მიხედვით. თეორიულ ჭრილში ეს მიდგომა რომან იაკობსონის მიერ შემოღებული დებულების პრაქტიკული განშლა-განვითარებაა იმის შესახებ, რომ „ეკვივალენტურობა მდგომარეობს განსხვავებაში“ (Jacobson, 1959, p. 232). ეს აზრი სხვადასხვა ფორმით თარგმანის ბევრ თეორეტიკოსს აქვს გამოთქმული, მათ შორის, ქართველ მკვლევარს, გივი გაჩეჩილაძეს: „საუკეთესო თარგმანი, გარკვეული პირობით, ცვლილებას შეიცავს დედანთან შედარებით. ეს ცვლილება აუცილებელია“ (გაჩეჩილაძე, 2014, გვ. 189). თუმცა, ამგვარი ცვლილების მექანიზმის გაშიფვრის კუთხით ქართულ თარგმანმცოდნეობაში კვლევა წინ აღარ წასულა. ამ ხარვეზის რამდენადმე ამოვსება იყო ჩვენი მიზანი, როდესაც ზემოაღნიშნულ დისერტაციაში მთავარ ამოცანად დავისახეთ დედნისა და თარგმანის შედარების ნიადაგზე გამოვლენილი მთარგმნელისეული შემატება-კლების კვლევა თარგმანის ადეკვატურობის ცნების დასაზუსტებლად. ტ. ს. ელიოტის ოთხი პოემის ზვიად რატიანიისეული ქართული თარგმანების ანალიზის დროს გამოვლინდა **ლოგიკით იმპლიციურული ჩანართების** (ლიჩ) სისტემური გამოყენება, რაც უკავშირდება არა მხოლოდ ზემოაღნიშნულ გაჩეჩილაძისეულ „აუცილებელ ცვლილებას“, არამედ ამ ხაზის აბსოლუტურ განვითარებას არადედნისეული შემატების სახით. ჩვენ მიერ შემუშავებული ტერმინოლოგიით **ლიჩ** მოიცავს **სინონიმურ-კომპენსატორულ, ახსნა-განმარტებით და კონტექსტუალურ** ჩანართებს, რომლის სახესხვაობად გამოვყავით **მრავალსაფეხურიანი ადეკვატურობის პრინციპი**. ფართო ჭრილით რომ შევხედოთ, ამ ყოველივეს საფუძველია ცვლილება თარგმნის დროს, ანუ ის, რაც დედნისგან განსხვავებულია და სამიზნე ენაში ტრანსფორმაციის გზით ხვდება.

აქ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ **სწორედ ტრანსფორმაციების არსებობა, ანუ** მთარგმნელის მიერ განხორციელებული ცვლილება თარგმანში აბნევს მკითხველს, რომელიც შემდეგ არასწორ კვალიფიკაციას აძლევს თარგმანს. ხშირ შემთხვევაში, ასეთ დროს თარგმანს „თავისუფალს“ უწოდებენ, არადა არ შეიძლება თავისუფალი თარგმნის პრინციპით შესრულებული ვუწოდოთ ნაწარმოებს, თუკი მასში განხორციელებულ ცვლილებებსა და ტრანსფორმაციებს ლოგიკური, ბუნებრივი საფუძველი გააჩნიათ. ჩვენ მიერ წარმოდგენილ ამ დებულებას ამყარებს წინამორბედ მეცნიერთა შრომები და თეორიები: ი. რეცკერის *კანონზომიერ შესატყვისთა თეორია*, ა. ბარხუდაროვის „ენა და თარგმანი“, ვ. კომისაროვის *საფეხურებრივი ეკვივალენტობის თეორია*, ა. შვაციერის *ფუნქციონალური ეკვივალენტობის კონცეფცია*, ჯ. კ. კეტვორდის „თარგმანის ლინგვისტური თეორია“ და ი. ნაიდას დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპი.

მსჯელობა და შედეგები. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ გამოყოფილი *ლოგიკით იმპლიციურებული ჩანართები* დინამიკური ეკვივალენტობის ზოგადი კონცეფციის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს, ამიტომ ამ უკანასკნელს შედარებით ვრცლად განვიხილავთ.

ი. ნაიდას მიხედვით, დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპით შესრულებული თარგმანი შეიძლება აღიწეროს, როგორც თარგმანი, რომლის შესახებ ორივე ენის შესაბამისი კულტურის თანაბრად მცოდნე ადამიანი იტყოდა, – „დიახ, ჩვენ სწორედ ასე ვლაპარაკობთ“. აქ გასათვალისწინებელია, რომ ასეთი თარგმანი არ არის მხოლოდ ახალი შეტყობინება, რომელიც მეტ-ნაკლებად ჰგავს ამოსავალ ტექსტს, არამედ ის სწორედ რომ თარგმანია და, როგორც ასეთი, ნათლად და გარკვევით უნდა გადმოსცემდეს წყარო-ტექსტის მიზანსა და მნიშვნელობას. დინამიკური თარგმანი შეიძლება აღიწეროს, როგორც „ამოსავალ ინფორმაციასთან ყველაზე ახლოს მდგომი **ბუნებრივი ეკვივალენტი**“, რომლის უპირველესი მიზანია, მკითხველში ეკვივალენტური რეაქცია გამოიწვიოს და არა ის, რომ ეკვივალენტური ფორმა მიიღოს. ნაიდა აღნიშნავდა, რომ „თარგმანის მორგება იმ ენისთვის, რომელზეც ის სრულდება და მის კულტურულ თავისებურებებზე წარმოადგენს ნებისმიერი სტილისტურად მისაღები თარგმანის არსებით კომპონენტს. ლინგვისტური შესაბამისობის აუცილებლობა, ჩვეულებრივ, იგრძნობა მხოლოდ მაშინ, როცა ის დაკარგულია თარგმანში. თარგმანი უკვე აღარ არის ბუნებრივი, როცა აღმოვაჩინებთ მასში სწორედ ამ ლინგვისტური შესაბამისობის ფაქტორის არარსებობას“.

ჩვენი თემის თავისებურებიდან გამომდინარე, ცალკე უნდა გამოიყოს ნაიდასეული „**აუცილებელი ცვლილებები და დანაკარგები**“, რომელსაც ნაიდა ახსენებს პარაგრაფში პოეზიის თარგმანის შესახებ და რაც მიანიშნებს თარგმანის არსისა და ხასიათის ორგანულ თვისებაზე. აუცილებელი ცვლილებების ობიექტურობის აღიარება ითხოვს ეკვივალენტურობის შინაარსის დაზუსტებას, იმის გამორკვევას, თუ რა გზას გადის მთარგმნელი სწორი შესატყვისების ძიებისას თარგმანში ეკვივალენტურობის მისაღწევად. ასე, მაგალითად, „ჯონ კ. კეტფორდი სწორედ თარგმანის ენაში თარგმნითი ეკვივალენტების დაძებნას მიიჩნევს თარგმანის პრაქტიკის ცენტრალურ პრობლემად, ხოლო თარგმანის თეორიის დანიშნულებად – თარგმნითი ეკვივალენტების ბუნების აღწერას“. (ფანჯიკიძე, 1995, გვ. 37)

ეკვივალენტების დაძებნას ხშირად ართულებს ფენომენი, რომელიც ინფორმაციის გადაცემას ყოველთვის თან ახლავს და ხშირად სწორედ ის განაპირობებს თარგმანის ტექსტში მომხდარ ცვლილებებს. საქმე ეხება ნაგულისხმევი, გამოუთქმელი ინფორმაციის არსებობას დედანში. ამგვარად, **ნაგულისხმევის ფენომენის** მნიშვნელობის ხაზგასმით თარგმანის თეორიაში ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური ტენდენციების შემდეგ ფსიქოლოგიზმის ტენდენციაც შემოდის და უნდა ითქვას, რომ იმპლიციტური ინფორმაციის ფუნქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება მხატვრული და, მით უფრო, პოეტური თარგმანის დროს.

რას ნიშნავს იმპლიციტური ინფორმაცია? მკვლევარი გ. სტარცევა ნაგულისხმევის ფენომენს გამოუთქმელი ინფორმაციის ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევს და მას ასე განმარტავს: „იმპლიციტური ინფორმაცია, ესაა კონტექსტიდან გამომდინარე დასკვნა, რომელსაც აკეთებს რეცეპიენტი მიღებული შეტყობინებიდან. თარგმნის კუთხით, „დაფარული მნიშვნელობის“ ყველაზე რთული სახეა „ნაგულისხმევი“. მის სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ლინგვისტურ და კულტურულ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარად ესმით ტექსტის კოგნიტური მოდელი. მიუხედავად ამისა, მთარგმნელს აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ სცადოს ნაგულისხმევის ტრანსფორმაციის განხორციელება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა იმპლიციტური ინფორმაცია კონტექსტზე ორიენტირებულია, ანუ სრულიად გასაგები და ცხადი ხდება კონტექსტის ფონზე მთლიანი ტექსტის გაგების შედეგად“. (მათიაშვილი, 2006, გვ. 41-42)

ნაგულისხმევი ინფორმაციის სხვადასხვა სახეობა მთარგმნელს სხვადასხვაგვარი მთარგმნელობითი სტრატეგიის შემუშავებისკენ უბიძგებს. ის იმპლიციტური ინფორმაცია, რომელსაც საყოველთაო ხასიათი აქვს, ითხოვს ტიპური სიტუაციების მთელი კომპლექსის ცოდნას, სადაც კონკრეტული ლინგვისტური ელემენტი კონკრეტული სახის ემოციურ დამოკიდებულებას გულისხმობს მთქმელის მიმართ. სიტუაციური, ანუ არაკონვენციური ხასიათის იმპლიციტური ინფორმაციის გადაცემა მოითხოვს ადრესატსა და ადრესანტს შორის არსებული ურთიერთობის გათვალისწინებას, ზრდილობის წესებისა და კომუნიკაციის სხვა პრინციპების ცოდნას.

თარგმანის მიზანია, რეციპიენტზე დაახლოებით ისეთივე ეფექტი მოახდინოს, როგორც წყარო-ტექსტს ჰქონდა თავის მკითხველზე, ამიტომ მას ვერ დააკმაყოფილებს იმპლიციტური ინფორმაციის გადმოცემისას ენობრივი განსხვავებების უბრალო კონსტატაცია. თარგმანის თეორიამ უნდა დაამუშავოს მეთოდები და საშუალებები ტექსტში იმპლიციტური ინფორმაციის ადგილის შესახებ.“ (მათიაშვილი, 2006, გვ. 44)

ნაგულისხმევის ფენომენის შესახებ პრაქტიკული თვალსაზრისით საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ინგლისურენოვანი მკვლევარი ანტარ სოლი აბდელა, რომელიც იმოწმებს და იზიარებს მ. ბეიკერის შეხედულებას იმის შესახებ, რომ: „უნივერსალური შეიძლება იყოს მხოლოდ ნაგულისხმევის ფენომენი, რომელიც გულისხმობს არა იმას, თუ ლიტერატურული თვალსაზრისით რას ამბობს მწერალი ან მთქმელი, არამედ იმას, თუ რის თქმა სურდა, რა ჰქონდა მას აზრად.“ ამის შემდეგ აბდელა მსჯელობს ტექსტში იმპლიკაციების ამოქმედების მექანიზმის შესახებ: „ყოველ ენას გააჩნია გარკვეული ტექნიკური საშუალება იმისათვის, რომ თარგმანში გადაიტანოს ისეთი მნიშვნელობები და შთაბეჭდილებები, რომლებიც ტექსტში ლიტერატურულად გაცხადებული არ არის. სულ არ არის აუცილებელი, ეს საშუალებები დედნისა და თარგმანის ენებში ერთმანეთს ჰგავდეს. ამ შემთხვევაში მრავალწახნაგოვანია მთარგმნელის ამოცანა. ჯერ მან უნდა წაიკითხოს და გაიგოს, რას ამბობს სათარგმნი ტექსტი ლიტერატურულად, მერე უნდა გამოარკვიოს და გაშიფროს, თუ რა იგულისხმება კონკრეტული გამოთქმებისა და ისეთი სტილისტური ხერხების მიღმა, როგორცაა: დრამატული შეკითხვები, ლექსიკური გამეორებები, სიტყვათა განსაზღვრული წყობა და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ახალი პროცესი, რომელმაც თარგმანის ენაზე უნდა გადაიტანოს როგორც ლიტერატურული, ისე იმპლიციტური მნიშვნელობები ისეთი ხერხების გამოყენებით, რომელთაც უპირატესობა ენიჭება თარგმანის ენაში ორიგინალის ენასთან შედარებით. ამის შემდეგ მთარგმნელს უფლება აქვს, სხვა სიტყვებით გადმოსცეს, ჩაამატოს ან გამოტოვოს რაიმე დეტალი, დაურთოს სქოლიო, შესავალი, ეპიგრაფი ან გააკეთოს გარკვეული პასაჟების პერიფრაზი იმისათვის, რომ თარგმანის ენაზე მოსაუბრეებს გადასცეს იგივე აზრები, რისი გამოხატვაც ორიგინალის ავტორს სურდა.“ (Abdelah, 2004, p. 5).

ამგვარად, დგინდება, რომ იმპლიციტური ინფორმაციის გათვალისწინებას თარგმანში მოჰყვება ცვლილებები ლინგვისტურ დონეზე თავისი შემატება-კლებით. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ რაც ექსპლიციტური იყო დედანში, თარგმანში იმპლიციტური გახდეს და პირიქით. მთავარია, იდენტური იყოს მონაცემები, ინფორმაცია, რომელსაც დედნისა და თარგმანის მკითხველები მიიღებენ. ამდენად, თარგმანში იმპლიციტურის გადმოტანის ნებისმიერი საშუალება გამართლებული იქნება ადეკვატური თარგმანის მიღწევის პირობით.

იმპლიკაციების სწორად ამოკითხვის პრობლემასთან დაკავშირებით აქტიურდება მთარგმნელის კომპეტენციის საკითხი, რადგან ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფონური ინფორმაციისა და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ცოდნის მაქსიმალურად ფართო საზღვრები. ამასთან დაკავშირებით თარგმანის ქართველი თეორეტიკოსი ნ. საყვარელიძე შენიშნავს, რომ „საწყისი შეტყობინების ტექსტში რომელიმე არატრანსპარანტული სემანტის დეკოდირებისას, როცა იგი არ იშიფრება ცალსახად და

განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას შეიცავს, მთარგმნელი რეცეპტორი მიმართავს პრესუპოზიციას და იმპლიკაციას სავარაუდო გადარჩევას, მაგრამ იმპლიკაციის მისმიერი ვერსია, შესაძლოა, მცდარი აღმოჩნდეს, თუ მთარგმნელი სათანადოდ არ ფლობს საგნობრივ სიტუაციას, თუ ნაკლებადაა გათვითცნობიერებული იმ ფაქტსა თუ მოვლენის არსში, რაც შეტყობინების ასახვის საგანს შეადგენს.“ (საყვარელიძე, 1996, გვ. 37)

თარგმანის, როგორც ცვლილების პრობლემასთან *მთარგმნელისეული ტრანსფორმაციების ხერხისა და იმპლიციტური ინფორმაციის გავლენის* საკითხის გარდა პირდაპირ კავშირშია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი მეთოდოლოგიაც, რომელიც ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ. ესაა *შემატება-კლების მეთოდი*, რომელსაც ქართულ თარგმანმცოდნეობაში ხანგრძლივი ისტორია აქვს, რამდენადაც პირველად ათონის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლებთან გვხდება ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში.

ამ მეთოდის ლეგიტიმაციით, თარგმანში დასაშვებია ამოკლებებისა და ჩანართების გაკეთება (თვით ტროპებშიც კი), თუკი საბოლოო ჯამში არ დაიკარგება ტექსტის ძირითადი სემანტიკური კომპონენტები. მკვლევარ ე. სკუგარევსკაიას მიხედვით, „...დედნის იმ მხატვრული სახეების ექსპრესიული და სემანტიკური დატვირთვის კომპენსირება, რომელიც თარგმნის პროცესში დაიკარგა, მთარგმნელმა უნდა მოახდინოს ახალი მინიმალური დეტალების, ანუ მთარგმნელისეული დამატებების შექმნით. მთარგმნელის ხელთ არსებული საშუალებები იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ აღდგეს დედნის მხატვრული სახეების მაკროსტრუქტურა უკვე სხვა პოეტური ფორმითა და ლინგვისტური საშუალებებით. ამ დროს დაცული უნდა იყოს სახეების რაოდენობრივი შეფარდებაც დედანსა და თარგმანში, რათა შეფასდეს რეპროდუცირების სიზუსტე.“ (მათიაშვილი, 2006, გვ. 44)

შემატება-კლების მეთოდის ზემოაღნიშნული თავისებურებები ჩვენ მიერ გამოყოფილი ლიჩ-ის პრაქტიკულ დანიშნულებად ლოგიკურად აქცევს სათარგმნი ერთეულების ფუნქციური ადეკვატების შექმნას და სწორედ აქ გადაიკვეთება ლოგიკით იმპლიცირებული ჩანართებით შესრულებული ტრანსფორმაციები ნაიდასეული დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპთან. ლიჩ-ს ახასიათებს მკაცრი სიზუსტისკენ სწრაფვა, რამაც უნდა უზრუნველყოს დედნის შინაარსობრივი პლანის დაცვა მაქსიმალური ეკვივალენტობის მისაღწევად. ამგვარი ჩანართების გამოყენების დროს დედნისეული ერთეულები გამოდის ნომინალური მნიშვნელობის არიდან და იძენს დამატებით კონოტაციას. ასე იქმნება დედნის სათარგმნი ერთეულების ფუნქციური ადეკვატები. დამატებითი კონოტაციების ვალიდურობა ეფუძნება მხატვრული ტექსტის მრავალნიშნადობის სტრუქტურალისტურ ახსნას. ემილ ბენვენისტის მიხედვით, მხატვრული ტექსტის უმცირესი ერთეულებია ე. წ. მეორადი აღმნიშვნელები (წინადადებები და გამოთქმები), რომელთა გაგება შესაძლებელია მხოლოდ სხვა აზრებთან შესაბამისობაში. მათ ბენვენისტი *სემანტიკური ინტერპრეტაციის ნიშნებს*, ანუ დისკურსულ ნიშან-გამოთქმებს უწოდებს. ტექსტის ეს უმცირესი სტრუქტურები ის წერტილია, სადაც აღმოცენდება მნიშვნელობათა სიმრავლე: „მნიშვნელობათა ეს სიმრავლე, რომელსაც მხატვრული ტექსტი აჩენს, ონტოლოგიური მოვლენაა და მისი ამოწურვა შეუძლებელია. ყოველ გამონათქვამში არსებობს ავტომატიზმის გარკვეული ელემენტი, მაგრამ იმავდროულად არსებობს თავისუფლების გარკვეული ხარისხიც. ამ თავისუფლებით სარგებლობს როგორც ავტორი, ისე მკითხველი, რომელიც თითოეულ გამონათქვამს თავისებურად აკონკრეტებს. მეტყველების ეს თავისუფლება მწერლის შემთხვევაში უკავშირდება როგორც სიტყვათა სელექციას სინონიმთა დიდი რიგიდან, ისე ფორმის არჩევანს, ფრაზის კონსტრუქციას და ა. შ. ამდენად, ლიტერატურის სემიოლოგია,

უპირველესად, ტექსტის კონოტაციური აღსანიშნით ინტერესდება და არა - დენოტაციურით.“ (კვაჭანტირაძე, 2003, გვ.14)

მხატვრული ტექსტის ბენვენისტიკული დახასიათება თარგმანის ტექსტზე რომ გადმოვიტანოთ, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ წერილის მთავარ სათქმელს, რომ ეკვივალენტური თარგმანისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სათარგმნი ერთეულების არა დენოტაციურ, არამედ კონოტაციურ მნიშვნელობებს, რომელთა ამოწურვა შეუძლებელია. ამიტომაც, ტექსტის ავტორთან და მკითხველთან ერთად მთარგმნელიც სარგებლობს იმ თავისუფლებით, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ყოველ გამონათქვამში არსებობს და მნიშვნელობათა ამოუწურავი მარაგიდან ირჩევს ერთ-ერთს, რომელსაც თავისებურად აკონკრეტებს. დავძენთ, რომ ასეთ დროს მთარგმნელს თავისუფლების საზღვრებს მხოლოდ და მხოლოდ დედნისა და სათარგმნელი კონტექსტის ლოგიკა უნდა უწყობდეს. როგორც ი. რეცკერი აღნიშნავდა, „ენობრივი საშუალებების ადეკვატურობის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ ფუნქციური და არა ფორმალური. თარგმნის კომპლექსურ პროცესში იმდენად ბევრი ფაქტორია ჩართული, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მეტყველების დონეზე ფორმალური შესატყვისობების დადგენა. ერთმა და იმავე ენობრივმა ფორმამ, შეიძლება, სხვადასხვა ფუნქცია შეასრულოს სხვადასხვა ენობრივი ფაქტორის ურთიერთშეფარდების მიხედვით.“ (ფანჯიკიძე, 1995, გვ. 30)

დასკვნები. ამგვარად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ თარგმანის შეფასების კრიტერიუმებს შორის აუცილებელია როგორც, ზოგადად, თარგმანის ამბივალენტური ბუნების, ისე, კონკრეტულად, *ცვლილებისა და ტრანსფორმაციის*, როგორც თარგმნის პროცესის აუცილებელი შემადგენლის, გამოკვეთა და გათვალისწინება მხატვრული ტექსტის კონოტაციურობასა და მრავალნიშნადობასთან ერთად.

მეტიც, ეკვივალენტური, ადეკვატური და სრულფასოვანი შეიძლება იყოს თარგმანი, რომელიც მოიცავს კონტექსტითა და ლოგიკით განპირობებულ შემატება-კლებას, ჩანართებს, ამოკლებებს და, ასევე, ნაგულისხმევ ინფორმაციას, მის ექსპლიციტურ ტრანსფორმაციას და პირიქით. არალოგიკურია, მკითხველი ელოდეს აბსოლუტურად ერთნაირ ტექსტს ორ სხვადასხვა ენობრივ სისტემაში - ეს თარგმანის შესახებ ყველაზე არასწორი წარმოდგენა და ტრანსლაციის ბუნებისა და ფილოსოფიის უარყოფა იქნებოდა.

ყველა მთარგმნელი და თარგმანის მკითხველი უნდა ითვალისწინებდეს, რომ, როგორც ფრანგი ფილოსოფოსი, მორის ბლანშო, აცხადებდა: „თარგმანი არასდროს ისახავს მიზნად განსხვავების გაუქმებას. პირიქით, იგი ამით თამაშობს კიდევ“. (ბლანშო, 2000, გვ. 26)

გამოყენებული ლიტერატურა

ბლანშო, მ. (2000). *კრებული „ქართულად ნათარგმანები“*. თბილისი: გამომცემლობა „არილი“.

გაჩეჩილაძე, გ. (2014). *მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

კვაჭანტირაძე, მ. (2003). ენის სემიოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიისთვის (წერილი პირველი); *შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრომები, სჯანი*. IV, გვ. 9-24

მათიაშვილი, მ. (2006). *მოდერნისტული პოეზიის თარგმნის პრობლემა*. დისერტაცია.

საყვარელიძე, ნ. (1996). *ეკვივალენტურობის პრობლემა ენათმორისი კომუნიკაციის აქტში*.

- ფანჯიკიძე, დ. (1995). *თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა*.
- Abdelah A. S. (2002). *The Translator's Dilemma: Implicatures and the Role of Translator*.
- Jacobson, R. (1959). *On Linguistic Aspects of Translation*', in R. A. Brower (ed.) *On Translation*, Cambridge, MA: Harvard University Press, pp. 232-39.
- Nida, Eugene A. & Taber, C. R. (1969 / 1982) *The Theory and Practice of Translation*, Leiden: E. J. Brill.

REFERENCES

- blansho, m. (2000). *krebuli „kartulad natargmanebi“ [Collection of articles “Translated into Georgian”]*. Tbilisi: Publishing House „Arili“.
- gachechiladze, g. (2014). *mkhat'vruli targmanis teoriis shesavali [Introduction to the Theory of Artistic Translation]*. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.
- k'vach'ant'iradze, m. (2003). *enis semiologiuri k'vlevis metodologiistvis (ts'erili p'irveli) [Towards the Methodology of the Semiological Research of the Language (the first paper)]*. *shota rustavelis sakhelobis kartuli lit'erat'uris inst'it'ut'is shromebi, sjani [“Sjani” the journal of scientific research by Shota Rustaveli Institute of Georgian Literature]*. IV, pp. 9-24
- matiashvili, m. (2006). *modernist'uli p'oeziis targmnis p'roblema [The Problem of Translating Modernist Poetry]*. *Dissertation*.
- saqvarelidze, n. (1996). *ek'vivalent'urobis p'roblema enatshorisi k'omunik'atsiis akt'shi [The Problem of Equivalence in the Transfer of Information Between Languages]*.
- panjik'idze, d. (1995). *targmanis akhali teoriebi da st'ilis ek'vivalent'obis p'roblema [New Theories in Translation Studies and the Problem of Stylistic Equivalence]*.
- Abdelah A. S. (2002). *The Translator's Dilemma: Implicatures and the Role of Translator*.
- Jacobson, R. (1959). *On Linguistic Aspects of Translation*', in R. A. Brower (ed.) *On Translation*, Cambridge, MA: Harvard University Press, pp. 232-39.
- Nida, Eugene A. & Taber, C. R. (1969 / 1982) *The Theory and Practice of Translation*, Leiden: E. J. Brill.